განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სატყეო საქმის ბაკალავრი 0105
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლომიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ მაჭავარიანი, ეროვნული სატყეო სააგენტო, საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების კორდინატორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ვარდიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ხაბეიშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტო, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საერთაშორისო გამოცდილებისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია მომზადდეს სატყეო საქმის ბაკალავრი, რომელსაც ექნება სატყეო საქმის სფეროს ფართო ცოდნა, ეცოდინება ტყის მოვლა - დაცვის, აღდგენა - განახლების და მდგრადი ტყითსარგებლობის პრინციპები, დაცული ტერიტორიების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიების დაგეგმვის და მართვის მექანიზმები, მერქნიან სახეობათა მავნე მწერებისა და დაავადებების ბიოლოგია და ეკოლოგიური თავისებურებანი, მავნებლის დამზიანებელი ფაზა და დაზიანების პერიოდი, ხელოვნური ნარგავების გაშენებისა და მართვის საკითხები, ლანდშაფტის დაგეგმარების და დეკორატიული ბაღ-პარკების გაშენების პრინციპები, საბაღო-საპარკო ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თანამედროვე ტენდენციები, მერქნის გადამუშვების საწარმოთა საწარმოო პროცესები, სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, მერქნის გადამუშავების ტექნოლოგიის ასპექტები და სტანდარტიზაცია.შეეძლოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, კვლავწარმოება და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება, შეეძლოსა ამა თუ იმ სახეობის მავნეობის და დაავადების განსაზღვრა ეკოლოგიური ინდექსების გამოყენებით, შეეძლოს მავნებლების და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების ინდეტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა, შეეძლოს სანერგეების დაგეგმარება და მართვა, შეეძლოს მერქნის გადამუშავების საწარმოთა დაპროექტება და მართვა, ურბანული გამწვანების დაგეგმვა და მართვა. შეეძლება ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, კვლავწარმოება და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება, სანერგეების დაგეგმარება და მართვა, მერქნის გადამუშავების საწარმოთა დაპროექტება და მართვა, ურბანული გამწვანების დაგეგმვა და მართვა.

პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელი და მოცულობა 240 კრედიტია. პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სატყეო საქმის ბაკალავრის (0105) კვალიფიკაცია. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები, სააუდიტორიო სივრცე და კომპიუტერული რესურსი და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები). პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა ფინანსდება ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 7 დეკემბერს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 22.11.2018 №1058). ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის/სკოლის დეკანთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

თანამშრომელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, ასევე მოქმედ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რჩევა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროგრამა აკმაყოფილებს:

- პირველი სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა არის რეკომენდაცია;
- მეორე სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა არის რეკომენდაციები და რჩევები;
- მესამე სტანდარტის მოთხოვნებს;
- მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებს;
- მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - **სასურველია წარმოდგენილ იქნას სწავლის შედეგების შეფასების რუკა.**
  - **სასწავლო კურსის „სატყეო ფიტოპათოლოგია" მიზანი მოითხოვს დაზუსტებას, სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები;**
  - **სასწავლო კურსში „სატყეო ფიტოპათოლოგია" დაზუსტდეს ლიტერატურა;**
  - **სასწავლო კურსში „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)" დაზუსტდეს ლიტერატურა;**
  - **პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო კურსების (მაგალითად: „სატყეო ფიტოპათოლოგია", „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)" და სხვა) სწავლება განხორციელდეს უახლესი სასწავლო სახელმძღვანელოებით/ლიტერატურით;**
  - **სასწავლო კურსის „ზოგადი ენტომოლოგია " მიზანი მოითხოვს დაზუსტებას, სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები.**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - **სასურველია შეეცვალოს სათაური სასწავლო კურსს „ტყის მართვა" და ჩამოყალიბდეს „ტყის მართვის დაგეგმვა";**
  - **სასურველია სატყეო საქმის ძირითად სასწავლო კურსებს გაეზარდოს კრედიტები, როგორიცაა: „დენდროლოგია", „დენდრომეტრია", „ტყის მართვა", „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა", „ ტყის გაშენება";**

- შეიცვალოს ხელშეკრულებები, რომელთაც მოქმედების ვადა აქვთ გასული.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

არ არის

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია მომზადდეს სატყეო საქმის ბაკალავრი, რომელსაც ექნება სატყეო საქმის სფეროს ფართო ცოდნა, ეცოდინება ტყის მოვლა - დაცვის, აღდგენა - განახლების და მდგრადი ტყითსარგებლობის პრინციპები, დაცული ტერიტორიების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიების დაგეგმვის და მართვის მექანიზმები, მერქნიან სახეობათა მავნე მწერებისა და დაავადებების ბიოლოგია და ეკოლოგიური თავისებურებანი, მავნებლის დამზიანებელი ფაზა და დაზიანების პერიოდი, ხელოვნური ნარგავების გაშენებისა და მართვის საკითხები, ლანდშაფტის დაგეგმარების და დეკორატიული ბაღ-პარკების გაშენების პრინციპები, საბაღო-საპარკო ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თანამედროვე ტენდენციები, მერქნის გადამუშავების საწარმოთა საწარმოო პროცესები, სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, მერქნის გადამუშავების ტექნოლოგიის ასპექტები და სტანდარტიზაცია. შეეძლება ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, კვლავწარმოება და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება, სახეობათა მავნეობის და დაავადების განსაზღვრა ეკოლოგიური ინდექსების გამოყენებით, მავნებლების და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების იდენტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა, სანერგეების დაგეგმარება და მართვა, მერქნის გადამუშავების საწარმოთა დაპროექტება და მართვა, ურბანული გამწვანების დაგეგმვა და მართვა. მოცემული საკითხები მნიშვნელოვანია, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ტყეებს საქართველოში უკავიათ ქვეყნის ტერიტორიის 40% და განსაკუთრებული როლი გააჩნიათ არა მარტო ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნების მიმართულებით, არამედ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხითაც, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისად კვალიფიცირებული კადრების არსებობა. სწორედ ასეთი ცოდნის და კვალიფიკაციის მქონე პერსონალის აღზრდას ემსახურება მოცემული სასწავლო პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; o თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სწავლების მოდელი შემუშავებულია პროფესორ ჯონ ბიგსის მეთოდოლოგიური მიდგომების მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კომპონენტები/საგნები. ყოველი საგნის სილაბუსში გაწერიალია სწავლის შედეგები, ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. შერჩეული შეფასების მეთოდი გულისხმობს ცოდნის შემოწმების ისეთი ტექნიკების გამოყენებას, რომელიც რელევანტური და ადეკვატურია კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო კურსში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული კომპეტენციების მისაღწევად. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: **ზოგადი კომპეტენციები** - კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი, მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი, უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი, უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი, ჯგუფში მუშაობის უნარი, სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი, განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის

უნარი

დარგობრივი კომპეტენციები: ეცოდინება მცენარეთა ბიოლოგიის თავისებურებები, მცენარში მიმდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები; ნიადაგების გენეზისის საფუძველზე ნიადაგების შეფასება, ნიადაგის დამუშავება და მისი ნაყოფიერების მართვა; მცენარეთა დაცვის ზოგადი პრინციპები; მერქნიან მცენარეთა სისტემატიკა, მორფოლოგია, ბიოეკოლოგიური თავისებურებები და გამოყენების პრინციპები; ტყის მდგრადი მართვის პრინციპები და სატყეო სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; ურბანული გამწვანების და ლანდშაფტის დაგეგმვის პრინციპები; ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიის და გადამუშავების მეთოდები;

შეეძლება: ბიოცენოზზე, ეკოსისტემაზე და ბიოსფეროზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორების გამოვლენა და მათი გავლენის შეფასება; ნიადაგური და კლიმატური პირობების ექსტრემალური მდგომარეობის დადგენა და დაკავშირება კონკრეტული მცენარეების ზრდა-განვითარებასთან; ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და აღწარმოების პრინციპები, დაცვა და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება; სატყეო სფეროს საკითხებზე ინფორმაციული მასალის მოძიება და ანალიზი, პრობლემის დაყენების და გადაჭრის შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; არსებული პრობლემის შეფასება და მისი აღწერა როგორც სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით; გაცნობიერებული ექნება ტყის მნიშვნელობა ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისათვის;

სატყეო საქმის ბაკალავრს შეეძლება ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, კვლავწარმოების და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება; ტყის მართვის გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, აგრეთვე სატყეო-სატაქსაციო სამუშაოთა ორგანიზებასა და შესრულებაში მონაწილეობის მიღება; ტყის ხელოვნური ეკოსისტემების ფორმირებისა და დეკორატიული ბაღ-პარკების დაგეგმვასა და გაშენების პროცესში მონაწილეობის მიღება; ბაღების და პარკების სტილის გარჩევა და ანალიზი; ტყისა და დეკორატიულ მცენარეთა სანერგე მეურნეობების დაგეგმვა და მართვა; მცენარეების თესლით და ვეგეტატიურად გამრავლება და სანერგეში მათი მოყვანა და მოვლა; ხის გადასამუშავებელი საწარმოების პროექტირებასა და მართვაში მონაწილეობის მიღება; გადამუშავებული სტანდარტიზებული მერქნული რესურსების მიზნობრივად გამოყენება;

სახეობათა მავნეობის განსაზღვრა ეკოლოგიური ინდექსების გამოყენებით; ტყის სახეობათა მავნებლების იდენტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა; კონკრეტული სახეობის მავნებლის და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

სტანდარტით კი მოთხოვნილია არა კომპეტენციების, არამედ სწავლის შედეგების შეფასება, ანალიზი, რომლის შეფასებისას გამოყენებული მეთოდიკა არ არის სრულყოფილი და დაკონკრეტებას მოითხოვს. სასურველია წარმოდგენილ იქნას სწავლის შედეგების შეფასების რუკა რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს ის სწავლის შედეგები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თანდართული დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- **სასურველია წარმოდგენილ იქნას სწავლის შედეგების შეფასების რუკა.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც, უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტი, გარდა სამი ძირითადი საგნისა, ვალდებულია, არჩევითი საგნიდან ჩააბაროს ერთ-ერთი: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია,ლიტერატურა, ქიმია, ბიოლოგია. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელი და მოცულობა 240 კრედიტია. პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სატყეო საქმის ბაკალავრის (0105) კვალიფიკაცია. პროგრამით გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები, რაც შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება	50 ECT
მიმართულების ზოგადი განათლება	33 ECT
მიმართლების საბაზო განათლება	23ECT
პრაქტიკული განათლება	8 ECT
სატყეო საქმის ძირითადი განათლება	67 ECT
კონცენტრაცია	47 ECT
არჩევითები	12 ECT

მთლიანობაში სასწავლო პროგრამა შეესაბამება სატყეო დარგში საუკეთესო პრაქტიკის მქონე ევროპის ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, სკანდინავიის ქვეყნები) შესაბამისი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთანავე, სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ **სასწავლო კურსში „სატყეო ფიტოპათოლოგია“ აღნიშნულია, რომ სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს შეასწავლოს ძირითადი სასოფლო–სამეურნეო კულტურების ცალკეული დაავადებები, მათი ხელშემწყობი პირობები და ბრძოლის ღონისძიებები, რაც ვერ იქნება სატყეო ფიტოპათოლოგიის შესწავლის საგანი, რადგან იგი შეისწავლის ტყის მერქნიან სახეობებში გავრცელებულ დაავადებებს;** ➢ **სასწავლო კურსში „სატყეო ფიტოპათოლოგია“ განხილული ლექციების (მაგალითად: 7, 8, 10) ძირითად ლიტერატურად მითითებულია სასოფლო სამეურნეო ფიტოპათოლოგია (ლ.ყანჩაველი 1987). სასურველია, რომ განხილულ იქნას კლიმატის ცვლილების ფონზე გავრცელებული ახალი დაავადებები, როგორიცაა მაგალითად**

ბზის სიდამწვრე, წაბლის ქერქის კიბო და სხვა., რომლებიც ამჟამად საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნის საქართველოს ტყის ეკოსისტემებს.

- სასწავლო კურსში „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)“ მითითებული ლექციების თემები (მაგალითად: 4,5,6) არ იძებნება მითითებულ ლიტერატურის წარმოდგენილ გვერდებზე;
- სასწავლო კურსში „ზოგადი ენტომოლოგია “ აღნიშნულია, რომ სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა მიიღოს ზოგადი ცოდნა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფების (მწერები, ტკიპები, ნემატოდები, მოლუსკები, თაგვისნაირი მღრღნელები) შესახებ, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლები ფართოდ მოიცავს ზოგადად მავნებლებს (არამარტო მწერებს); ხოლო ენტომოლოგიის შესწავლის საგანია მწერები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „სატყეო ფიტოპათოლოგია“ მიზანი მოითხოვს დაზუსტებას, სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები;
- სასწავლო კურსში „სატყეო ფიტოპათოლოგია“ დაზუსტდეს ლიტერატურა;
- სასწავლო კურსში „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)“ დაზუსტდეს ლიტერატურა;
- პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო კურსების (მაგალითად: „სატყეო ფიტოპათოლოგია“, „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)“ და სხვა) სწავლება განხორციელდეს უახლესი სასწავლო სახელმძღვანელოებით/ლიტერატურით;
- სასწავლო კურსის „ზოგადი ენტომოლოგია“ მიზანი მოითხოვს დაზუსტებას, სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შეეცვალოს სათაური სასწავლო კურსს „ტყის მართვა“ და ჩამოყალიბდეს „ტყის მართვის დაგეგმვა“.
- სასურველია სატყეო საქმის ძირითად სასწავლო კურსებს გაეზარდოს კრედიტები, როგორიცაა: „დენდროლოგია“, „დენდრომეტრია“, „ტყის მართვა“, „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა“, „ ტყის გაშენება“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და მათ შესაბამისად, უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას .

მოცემული მიიღწევა სწორად დაგეგმილი თეორიული კურსით, რომელიც შემდგომ მტკიცდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებით როგორც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, ასევე პოტენციური დამსაქმებლების საველე სტრუქტურულ ერთეულებში (დაცული ტერიტორიების სააგენტოში, ეროვნულ სატყეო სააგენტოში, ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოებში).

პროგრამით გათვალისწინებულია:

1. საველე პრაქტიკა(3 კრედიტი). საველე პრაქტიკის მიზანია, სტუდენტები მიეჩვიონ ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ ცხოვრებას და საქმიანობას, უნივერსიტეტის კამპუსის გარეთ. პრაქტიკის თემა და შინაარსი არის კროსდისციპლინარული ტიპის და არ შეეხება სტუდენტის ძირითად სპეციალობას.
2. მუშაობა ორგანიზაციაში ამისათვის გამოყოფილია 5 კრედიტი, ხანგრძლივობა კი მინიმუმ სამი სამუშაო კვირაა. განაწილება საწარმოში ხდება კომპანიის ხელმძღვანელთან წერილობითი ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. პროგრამის ხელმძღვანელი რეგულარულ კონტაქტში იმყოფება სტუდენტებთან და მათ ადგილობრივ საწარმოო ხელმძღვანელთან და ამგვარად საქმის კურსშია საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ. სტუდენტი მუშაობს უშუალოდ იმ პიროვნების ხელმძღვანელობით, რომელსაც დაადგენს კომპანიის ხელმძღვანელი. სტუდენტები აწარმოებენ თავიანთი სამუშაო დღეების ყოველდღიურ აღრიცხვას და პრაქტიკის ბოლოს წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს, რომელსაც აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი და პედაგოგი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი. ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულაციები. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება სხვადასხვა შეფასების ფორმები. სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, უფლებამოსილია იყენებდეს ერთ, რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი მიზნების მისაღწევად. პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის თეორიულ და პრაქტიკული სწავლების სრულყოფილად წარმართვაზე და სატყეო საქმის ბაკალავრის მომზადებაზე. კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები თანმიმდევრული და ლოგიკურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამება და სილაბუსები, o თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ წესს.

შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე დადგენილი მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%-ს, რაც მითითებულია ყველა სილაბუსში. შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია, როგორც სილაბუსში, ისე გამოცდების ჩატარების წესის, ბაკალავრიატის დებულებაში და განთავსებულია ვებ-გვერდზე.

ეს ინფორმაცია, მათ შორის, პირველკურსელებს მიეწოდება სემესტრის დაწყებამდე 3 კვირიანი საორიენტაციო პროგრამის ფარგლებში. საგამოცდო ცენტრის მიერ წინასწარ ხდება განრიგის შედგენა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე და წინასწარ ეცნობება სტუდენტებს. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს ცოდნის შემოწმების ობიექტურობას. გამოცდების 85% ტარდება საგამოცდო ცენტრში.

სტუდენტების ტესტირების და გამოცდების სისტემა სრულად კომპიუტერიზებულია, რაც სრულად გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს და ქმნის უნივერსიტეტში გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს და წარმოადგენს მნიშვნელოვან მოტივაციას კარგი სწავლისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტი და სერვისები ეხმარება სტუდენტებს წარმატების მიღწევაში. თანამედროვე დონეზე მოწყობილი ბიბლიოთეკა, კომპიუტერებთან თავისუფალი და შეუზღუდავი წვდომა ინტერნეტ სივრცის ჩათვლით, ეფექტური ინფორმირების სისტემა, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში და პრაქტიკულ და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის. ამასთანავე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია და კონსულტაცია, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ საკითხებს, ასევე სოციალურ და სხვა სერვისებს. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესში ჩართული პირების გამოკითხვით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული თუ მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტებს ინდივიდუალურად გაუწიოს კონსულტაცია სტუდენტის საჭიროებისამებრ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანდართული და უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები; o ინტერვიუ სტუდენტებთან;

o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; o ინტერვიუ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული საქმიანობით;

პროგრამაში ჩართულია 20 სრული პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 10 ასისტენტ პროფესორი ამასთან 27 სპეციალისტია მოწვეული; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მისი სამეცნიერო–პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობით. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება უნივერსიტეტში განხორციელდება სათანადო კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მეშვეობით.

ზოგიერთი მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებას ვადა აქვს გასული (მაგალითად: საინჟინრო გრაფიკა, სატყეო ფიტოპათოლოგია და ა.შ)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები.
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **შეიცვალოს ხელშეკრულებები, რომელთაც მოქმედების ვადა აქვთ გასული.**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით რეგულარულად მიმდინარეობს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება და შესაბამისი შედეგების ანალიზი, რომელიც კონფიდენციალობის დაცვით ინახება უნივერსიტეტში. ამასთანავე, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ყოველწლიურად უნივერსიტეტის მიერ საკუთარი ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებისათვის გამოიყოფა 2 მილიონი ლარი, რაც ემსახურება როგორც აკადემიური სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ საქმიანობას, ასევე ახალგაზრდა თაობის მოზიდვას მეცნიერებაში, რაც უაღრესად აქტუალურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უნივერსიტეტში არსებული კვლევები; o ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, დარბაზები, სპეციალიზირებულილაბორატორიები, როგორიცაა: ნიადაგმცოდნეობის, მიკრობიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ბოტანიკის, ენტომოლოგიის, ფიტოპათოლოგიის, ქიმიის, სატყეო ტაქსაციისა და დენდრომეტრიის და სხვა ლაბორატორიები. გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ფლობს მაღალი დონის, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურას. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის და ყოველმხრივ მოსახერხებელი როგორც სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რათა ორგანიზებულად განახორციელონ სასწავლო პროცესი,უნივერსიტეტების ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით. მთელი შენობები დაფარულია მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტით. ინტერნეტით სარგებლობა არის ღია ყველა თანამშრომლის და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტი არის მაიკროსოფტის IT აკადემიის სრულუფლებიანი წევრი, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის ყველა კომპიუტერზე იყოს ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა. შენობაში, სადაც უნივერსიტეტი მდებარეობს არის ელ.ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გაუთვალისწინებელი შემთხვევების არსებობისას მოქმედებს გენერატორი. შენობის შესასვლელში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის გათვლილი სავალი ნაწილი (პანდუსი), შენობაში უწყვეტლივ მუშაობს ლიფტი, არის ადაპტირებული სველი წერტილები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია

ინდივიდუალური სპეციალური საჭიროებების შემთხვევებში უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის უწყვეტ და სრულყოფილ სასწავლო პროცესს. ყველა სტუდენტს აქვს შესაბამისი უნარი ადექვატურად მოიხმაროს უნივერსიტეტის ტექნიკური რესურსები. ყველა პროფესორ–მასწავლებელს შეუძლია დამოუკიდებლად მოამზადოს კურსის შესაბამისი ელექტრონული მასალები. სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ–კვლევით და საბიბლიოთეკო ბაზებზე. წიგნების შეძენა ხდება ბიბლიოთეკისთვის უახლესი გამოცემების გამოსვლისთანავე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა; o მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; o უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები; o ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სათანადო ფინანსური რესურსის გამოყოფას იმ მიზნით, რომ პროგრამა განხორციელდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ საუკეთესო საგანმანათლებლო გარემოში. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დასტურდება უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაციით და ინტერვიუირებით; o ბიუჯეტით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს. ამ სისტემის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება. სასწავლო პროცესის მანძილზე ხორციელდება შიდა შეფასება შემდეგი სახით: სემესტრის განმავლობაში, სისტემატურად, ტარდება სხვადასხვა სახის გამოკითხვა SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. უნივერსიტეტს შეძენილი აქვს აღნიშნული პლატფორმის platinum ვერსია და ანახლებს ყოველწლიურად გამოკითხვების სანდოობისა და მიღებული რაოდენობრივი კვლევების გამარტივებული ანალიზის მიზნით.

სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ ლექტორების, საგნების, სკოლის ადმინისტრაციის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა თემის ანონიმურად შეფასება. კითხვარი შემუშავებულია კონკრეტული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე. კითხვარი მუდმივად გახლებადია იმ მიზნით, რომ სტუდენტებს არ მობეზრდეთ კვლევებში მონაწილეობა, რადგან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთი და იგივე შინაარსის კითხვარის დაგზავნის შემთხვევაში იკლებს კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა.

კვლევები ეხება სასწავლო პროცესის როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ მხარეს. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გვეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაშიც და სილაბუსების განახლებაშიც. ასევე, ლექტორს ეხმარება დაფიქრდეს სწავლების მეთოდებზე, მიდგომებზე, სასწავლო კურსის შინაარსსა თუ შეფასების სისტემაზე. დამუშავებული რეკომენდაციები ეგზავნებათ პროფესორ–მასწავლებლებს და აკადემიურ ადმინისტრაციას. გარდა კითხვარისა გამოიყენება დატვირთვების კალკულატორი სილაბუსის დაგეგმარების ინსტრუმენტთან ერთად.

გარდა რაოდენობრივი კვლევებისა, ტარდება თვისებრივი კვლევებიც, ჩაღრმავებული ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით სტუდენტების გამოკითხვის ფორმები და შედეგები კონფიდენციალობის დაცვით ინახება უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- SurveyMonkey სისტემაში არსებული კვლევები;
- უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაცია;

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის რეჟიმით უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისა და გეგმიური კონტროლის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 11 ნოემბერს. გადაწყვეტილება #274
- 2011 წლიდან დღემდე წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები;

o ინტერვიუ სკოლისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით სტუდენტების გამოკითხვის ფორმები და შედეგები კონფიდენციალობის დაცვით ინახება უნივერსიტეტში. რაც შეეხება პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს როგორც ინტერვიუირების დროს აღინიშნა ისინი ტარდება ზეპირი ფორმით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o SurveyMonkey სისტემაში არსებული კვლევები; o უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაცია; o ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთან; o ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ დამსაქმებლებთან; o ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; o საგანმანათლებლო პროგრამა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სატყეო საქმე

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ლომიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ მაჭავარიანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

გიორგი

სახელი,

გიორგი ხაბეიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა